




როგორ გამოიყენება AI ინსტრუმენტები საქართველოში



დაბალი AI გამოყენება მაღალი AI გამოყენება

0 10 20 30 40



ევროკავშირის ქვეყნებიდან, მოსახლეობაში AI-ის გამოყენების უფრო დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ რუმინეთშია.



18.2%

საქართველოს მოსახლეობის იყენებდა გენერაციულ AI-ის 2025 წლის მეორე ნახევარში

+2.2%


2.2 პროცენტული პუნქტით ზრდა ნახევარ წელში

წყარო: Microsoft

სოციალური მედიის მომხმარებლებს შორის საქართველოში (2025 წლის აპრილის კვლევა)

საქართველო

თბილისი



დადებითი დამოკიდებულება ოპტიმიზმი აჭარბებს ნდობას — **56%** ელოდება, რომ AI-ის პოზიტიური გავლენა ექნება.


AI გამოიყენება, როგორც ახალი "გუგლი"




ინფორმაციის მოძებნა ყველაზე პოპულარული გამოყენება იყო




ინფორმაციის ძებნა



სწავლა და კვლევა



ზოგადი რჩევა




იდეის გენერაცია

მონაცემთა წყარო: ACT Research



Claude ძირითადად გამოიყენება სამუშაო დავალებებისთვის





საქართველოში Claude ძირითადად IT სფეროში გამოიყენება, თუმცა ასევე სხვა მიმართულებებითაც.

წყარო: Anthropic Economic Index

რომელი AI ინსტრუმენტებია პოპულარული საქართველოში?




AI ჩატბოტების ტრაფიკის განაწილება



AI ტრაფიკში ChatGPT ლიდერობს 75%-იანი წილით


ChatGPT-ის გარდა, ამ ეტაპზე საქართველოში ბაზრის არსებითი წილი გააჩნიათ მხოლოდ შემდეგ ინსტრუმენტებს: Gemini, Perplexity, Claude და Copilot.

წყარო: Statcounter GlobalStats




ChatGPT-ის დომინანცია

საქართველო კვლავ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მეტად ChatGPT-ზე დამოკიდებულ ქვეყნად რჩება. ევროპის უმეტეს ქვეყნებში ChatGPT-ის წილი 70–85%-ის ფარგლებში მერყეობს.




2025 წლის ბოლოდან, Gemini იწყებს ჩამორჩენის შემცირებას




მომხმარებლები უფრო ხშირად იყენებენ Gemini-ს, რადგან მას აქვს უფასო ვერსია მაღალი ლიმიტებით, მულტიმედიური შესაძლებლობები (მაგ. ფოტოს გენერაცია) და ასევე გუგლის ფასიანი პაკეტები აერთიანებს AI-ის და Drive-ის პროდუქტებს.

AI ჩატბოტების ტრაფიკი მცირედით განსხვავდება მონაცემების მიხედვით



ChatGPT



Gemini

Desktop-ზე ChatGPT-ის დომინირება შედარებით დაბალია, რადგან მომხმარებლები ბიზნეს ამოცანებისთვის ალტერნატიულ AI ინსტრუმენტებსაც იყენებენ.



Claude, როგორც სამუშაო ინსტრუმენტი



Claude-ის გამოყენება 2026 წლის აპრილში გაიზარდა და პირველად მიუახლოვდა ტრაფიკის 5%-ს.

საქართველოში, ზოგი აქტიური პროფესიონალი მომხმარებელი ChatGPT-ს ანაცვლებს Claude-ით როგორც ძირითად ფასიან AI ინსტრუმენტს, როგორც IT ისე არატექნიკურ საქმიანობაში.

სოციალური მედიის მომხმარებლებს შორის საქართველოში (2025 წლის აპრილის კვლევა)



AI ინსტრუმენტების ცნობადობა



● სმენია ● არ სმენია



წყარო: ACT Research

რამდენად არის საქართველო მზად AI ტრანსფორმაციისთვის?

საქართველო
87-ე ადგილზეა 195 ქვეყანაში
Government AI Readiness Index-ის მიხედვით.

42.8 ქულა 100-დან



წყარო: Oxford Insights

დაბალი AI მზადყოფნა

30

40

50


60

70


80

90

მაღალი AI მზადყოფნა



AI-ისთვის მზადყოფნის მზარდი ეკონომიკები



წამყვანი AI ქვეყნები



მოუმზადებელი განვითარებადი ეკონომიკები




მოუმზადებელი მაღალშემოსავლიანი ქვეყნები



საქართველოს AI მზადყოფნა ოდნავ აღემატება მსოფლიო მედიანურ მაჩვენებელს და დაახლოებით იმავე შემოსავლის მქონე ქვეყნების დონეზეა.

შენიშვნა: დიაგრამა ქვეყნების პოზიციებს AI მზადყოფნის ინდექსისა და ერთ სულ მოსახლეზე GNI-ის მიხედვით აჩვენებს. ვერტიკალური ღერძი დაფუძნებულია მსოფლიო მედიანურ მნიშვნელობაზე, ხოლო ჰორიზონტალური ღერძი — ქვეყნების შემოსავლის დონეზე.

AI მზადყოფნის მიმართულებები საქართველოში (100 ქულიდან)



AI მზადყოფნის კომპონენტების დაჯგუფება სხვა კომპონენტებთან და ქვეყნებთან შედარებით:

წამყვანი კომპონენტები

- მმართველობის პრინციპები
- რეგულაციებთან შესაბამისობა
- მონაცემთა ხარისხი
- ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა
- ადამიანური კაპიტალი
- AI ტექნოლოგიების გავრცელება

ფარული პოტენციალის კომპონენტები

- პოლიტიკის განხორციელების მზაობა
- სახელმწიფო ციფრული პოლიტიკა

ძლიერი, მაგრამ არაკონკურენტუნარიანი კომპონენტები

- ე-მმართველობის სერვისები
- საზოგადოების ტრანზფორმაცია

კრიტიკული კომპონენტები

- AI სექტორის სიმწიფე
- პოლიტიკის ხედვა
- უსაფრთხოება
- გამოთვლითი რესურსები

შენიშვნა: დაჯგუფება განხორციელებულია კომპონენტის ქულისა და შესაბამისი გლობალური რეიტინგის საფუძველზე

როგორ გარდაქმნის **AI** შრომის ბაზარს საქართველოში?

საქართველოში ჩნდება **AI**-სთან
დაკავშირებული ტექნიკური პოზიციები,
განსაკუთრებით **AI/ML** ინჟინრების
მიმართულებით

MLOps Engineer
AI/ML Engineer
AI Solution Architect
AI Data Scientist
AI Test Automation Engineer
AI RPA Developer
GenAI Operations Engineer



საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ტექნოლოგიური
კომპანიები **AI** პოზიციებზე მოთხოვნის მთავარი მამოძრავებლები
არიან



EPAM Systems Georgia ყველაზე მსხვილი
დამსაქმებელია, რომელიც სთავაზობს
როგორც ჰიბრიდულ, ისე სრულად
დისტანციურ სამუშაოს.

AI ინჟინერთა ძირითადი კარიერული ვარიანტები

- 1** საერთაშორისო კომპანიები ადგილობრივი
წარმომადგენლობით
- 2** საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც ქართველ კანდიდატებს
დისტანციურად ქირაობენ
- 3** სრულად გლობალური დისტანციური ბაზარი

ახალი, **AI**-ით
გაძლიერებული
პოზიციები
ადგილობრივ ბაზარზე



AI "კონტენტის" მენეჯერი

მოკლე ციფრული, მარკეტინგული მასალის შექმნა AI ინსტრუმენტების დახმარებით.



AI დანერგვის ლიდერი

AI გადამწყვეტილებების დანერგვა ავტომატიზაციისთვის და თანამშრომლების AI



AI ბრენდის ხილვადობის სპეციალისტი

ბრენდის ხილვადობის გაუმჯობესება AI-ზე დაფუძნებულ ციფრულ პლატფორმებზე.



AI მიმართულების დირექტორი

ორგანიზაციის AI მიმართულების განსაზღვრა და მსხვილი ინიციატივების კოორდინაცია.



პოლარიზებული AI უნარები

AI უნარებზე მოთხოვნა პოლარიზებულია:
ერთი მხრივ მაღალი დონის ტექნიკური
ექსპერტიზა, ხოლო მეორე მხრივ ფართოდ
გამოყენებადი პრაქტიკული AI უნარები.




**AI უნარების განვითარება ხორციელდება
როგორც ორგანიზაციების შიდა ტრენინგებით,
ასევე ღია სასწავლო პროგრამებით**

სტანდარტული AI კურსები, როგორც წესი, რამდენიმე კვირა გრძელდება
და მათი **ღირებულება 800–1500 ლარის** ფარგლებშია.

როგორ ვითარდება AI სტარტაპ ეკოსისტემა საქართველოში?

23

AI სტარტაპი დაკავშირებული ადგილობრივ ეკოსისტემასთან



სტარტაპების უმეტესობა B2B მოდელზეა ორიენტირებული და ქმნის ბიზნესებისთვის ქმნის AI გადაწყვეტებს, ვიდრე ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის.



Theneo, Y Combinator-ის მხარდაჭერით შექმნილი პლატფორმა, რომელიც 15 000-ზე მეტი კომპანიისთვის API დოკუმენტაციას ავტომატურად ქმნის და აახლებს.



Supernova, რომელიც ბანკებს, სახელმწიფო უწყებებს, ტელეკომ ოპერატორებსა და მსხვილ ორგანიზაციებს სთავაზობს AI ჩატბოტებს, რისკების შეფასების, სემანტიკური ძიებისა და პროცესების ავტომატიზაციის გადაწყვეტილებებს. დაარსებული 2018 წელს, Pulsar AI-ს სახელით, რომელიც 2021 წელს კომპანია Impel-მა შეიძინა.



Logmind, შვეიცარიაში დაფუძნებული AI პლატფორმა IT ოპერაციების მართვისთვის, რომელიც რეალურ დროში აანალიზებს სისტემურ ლოგებს, ავლენს ანომალიებს და აჩქარებს პრობლემების იდენტიფიცირებას.



Helio AI, HR ტექნოლოგიური სტარტაპი, რომელიც AI აგენტის მეშვეობით რეკრუტინგის პროცესის 90%-მდე ავტომატიზაციას ახდენს. პლატფორმა ამჟამად 8 ქვეყანაში ოპერირებს.



Talkpal, ქართველი გუნდის მიერ შექმნილი AI ენის რეპეტიტორი, რომელიც დღეს 180 ქვეყანაში 6 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება და 80-ზე მეტ ენას ფარავს.



Stori AI, კონტენტის შექმნის სტარტაპი, რომელიც ავტორებსა და ბიზნესებს ეხმარება ისტორიებისა და ნარატივზე დაფუძნებული მარკეტინგული მასალების გენერირებაში.




Empirical, მონაცემთა ანალიტიკის სტარტაპი, რომელიც AI-ზე დაფუძნებულ ბიზნეს ინტელექტის გადაწყვეტილებებს სთავაზობს კომპანიებს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად.



Optio AI, ფინანსური ტექნოლოგიების B2B სტარტაპი, რომელიც ბანკებს მომხმარებელთა მონაცემების ანალიზსა და მარკეტინგული კამპანიების ავტომატიზაციაში ეხმარება.




DataMind, ფინანსური ინსტიტუტებისთვის შექმნილი AI სტარტაპი, რომელიც მონაცემთა ინტეგრაციის უნივერსალურ პლატფორმას ავითარებს.



MaxinAI, 2017 წელს დაფუძნებული კომპანია, რომელიც საერთაშორისო კლიენტებისთვის მორგებულ მანქანური სწავლებისა და AI გადაწყვეტილებებს ქმნის.



Calen AI, შეხვედრებისა და კალენდრის მართვის AI პლატფორმა, რომელიც ბუნებრივი ენის გამოყენებით ავტომატურად კოორდინირებს



Branderwise, AI-ზე დაფუძნებული მარკეტინგული ტექნოლოგიების სტარტაპი, რომელიც ბიზნესებს მარკეტინგის, ბრენდინგისა და მომხმარებელთა ჩართულობის ავტომატიზაციაში ეხმარება.



Admagica, AI-ზე დაფუძნებული სარეკლამო პლატფორმა, რომელიც რეკლამების ავტომატურ შექმნასა და კამპანიების ოპტიმიზაციას უზრუნველყოფს.



Promofy, AI პლატფორმა, რომელიც თამაშიფიკაციის, პერსონალიზებული შეთავაზებებისა და მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით მარკეტინგულ კამპანიებს ავტომატიზაციას უკეთებს.



DeepPrank AI, SEO და ხილვადობის პლატფორმა AI ეპოქისთვის, რომელიც კომპანიებსა და კონტენტის ავტორებს ეხმარება ChatGPT-ში, Perplexity-ში და სხვა AI საძიებო სისტემებში უკეთ გამოჩენაში



ASR.GE, ქართული მეტყველების ტექსტად გარდაქმნის პლატფორმა, რომელიც აუდიოჩანაწერების, სატელეფონო ზარებისა და ინტერვიუების მაღალი სიზუსტით ტრანსკრიფციას უზრუნველყოფს



Enagram, რომელიც მცირე რესურსის მქონე ენებისთვის, მათ შორის ქართული ენისთვის, ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) ტექნოლოგიებს ავითარებს.



Praktika.ai, AI-ზე დაფუძნებული ენის სასწავლო აპლიკაცია, რომელიც მომხმარებლებს სწავლის დროს ინტერაქტიული ავატარებისა და რეალურ დროში უკუკავშირის მეშვეობით ეხმარება.



LakLaka, AI ჩატბოტი, რომელიც მომხმარებლებს ბუნებრივი ენის კომუნიკაციის საშუალებით პასუხებსა და დახმარებას სთავაზობს.




MyZari, ხმოვანი AI სტარტაპი, რომელიც მაღალი დატვირთვის მქონე კომუნიკაციისთვის სწრაფ და ბუნებრივ ხმოვან აგენტებს ავითარებს.



TwinO, უძრავი ქონების სააგენტოებისთვის შექმნილი AI სტარტაპი, რომელიც WhatsApp-ისა და Meta-ს არხებზე ლიდების დამუშავებას, შეხვედრების დაგეგმვასა და CRM სისტემებთან სინქრონიზაციას ავტომატურად ახორციელებს.



DM's AI, AI ავტომატიზაციის სტარტაპი, რომელიც ბიზნესებისთვის ქმნის AI აგენტებსა და ჩატბოტებს სამუშაო პროცესების, მომხმარებელთა მომსახურებისა და შიდა ოპერაციების ავტომატიზაციისთვის.



Prive AI, საგადასახადო ტექნოლოგიების სტარტაპი, რომელიც ბუღალტრებს, ფინანსისტებსა და ბიზნესებს საქართველოს საგადასახადო რეგულაციებზე სწრაფ პასუხებსა და რეკომენდაციებს სთავაზობს.

როგორ ინტეგრირდება AI საქართველოს განათლების სექტორში?



11 აკრედიტებული AI პროგრამა საქართველოში

საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში კიდევ რამდენიმე AI პროგრამა განვითარების ეტაპზეა. აღნიშნული რიცხვი მოიცავს მხოლოდ IT პროგრამებს - კვალიფიკაციით კომპიუტერულ მეცნიერებებსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში.

450

სტუდენტი უკვე ჩაირიცხა AI პროგრამებზე ეროვნული გამოცდებით

უნივერსიტეტი	დონე	პროგრამა	ჩარიცხვა 2023/2024	ჩარიცხვა 2024/2025	ჩარიცხვა 2025/2026
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	BA	კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი	NA	100	300
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	BA	კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი (ინგლისურად)	NA	NA	NA
საქართველოს უნივერსიტეტი	BA	ხელოვნური ინტელექტი	NA	NA	NA
საქართველოს უნივერსიტეტი	BA	ხელოვნური ინტელექტი (ინგლისურად)	NA	NA	NA
კავკასიის უნივერსიტეტი	BA	კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი (ინგლისურენოვანი)	NA	NA	17
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	BA	მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი	2	22	9
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	BA	მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი (ინგლისურად)	NA	NA	NA
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	MA	ხელოვნური ინტელექტი	NA	NA	NA
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	MA	ხელოვნური ინტელექტი (ინგლისურად)	NA	NA	NA
ალტე უნივერსიტეტი	BA	ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა	NA	NA	NA
ალტე უნივერსიტეტი	BA	ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა (ინგლისურად)	NA	NA	NA

შენიშვნა: მონაცემები არ მოიცავს უცხოელი სტუდენტებს, მობილობით და ეროვნული გამოცდების ფარგლებს გარეთ მიღებულ სტუდენტებს.

BTU-ის სტუდენტებს შორის (2025 წლის ზაფხულის კვლევა)

AI-ით გაძლიერებული სწავლება სულ უფრო ფართოდ ვრცელდება

AI-ის მიერ საკითხების ახსნა შედარებით ახალი, მაგრამ უკვე
პოპულარული მიმართულება ბტუ-ს სტუდენტებში.

საბაზისო ამოცანები



მასალების ძიება

სწრაფმზარდი ამოცანები



საკითხების ახსნა



იდეის გენერაცია



მასალის შეჯამება

ნიშური ამოცანები



მათემატიკური გაანგარიშება



ნაშრომის მომზადება



ტექსტის რედაქტირება

მზარდი ამოცანები

ადრეული ამოცანა

ახალი ამოცანა

შენიშვნა: ამოცანების კლასიფიკაცია ეფუძნება სტუდენტებში მათი პოპულარობის დონესა და გამოყენების გავრცელების პერიოდს (ახალი თუ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკა).

წყარო: BTU-ის 2025 წლის ზაფხულის კვლევა, *Digital Ecosystem Digest*: "გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სწავლასა და სწავლებებში — საუნივერსიტეტო პრაქტიკის მაგალითი საქართველოდან.

რა არის ციფრული ეკოსისტემის დაიჯესტი?

Digital Ecosystem Digest არის ყოველკვარტალური ელექტრონული კვლევითი ანგარიში, რომელიც გამოიცემა BTU-ს მენარმეობის ცენტრის ინიციატივით.

ანგარიში მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და ფარავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: AI, ICT სექტორი, ციფრული ბიზნესინოვაციები ელექტრონული კომერციის ბაზრები, ციფრული პლატფორმები, ფინტექ ტექნოლოგიები და ა.შ.

ანგარიშის მიზანია როგორც არსებული ინფორმაციის კონსოლიდაცია, ასევე ახალი პრაქტიკული ცოდნის შექმნა ციფრული ეკონომიკის შესახებ.

თითოეული კვლევის ანგარიში იქმნება სხვადასხვა მკვლევართა თანაავტორობით. მიმდინარე გამოცემის ავტორი არის BTU-ს აფილირებული ასოცირებული პროფესორი ცოტნე ჟღენტი.